

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

ან. კ.	თვე	მან. კ.
10	6	6
9 50	5	5 50
8 75	4	4 75
8	3	3 50
7 25	2	2 75
6 50	1	1 50

კალკ ნომერი—ერთი შაური.

„იზაიის“ ტელეფონი № 227.



იზვერია

სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია **ეროვნული**
 ნიკოლოზის ქუჩა **ქ. თბილისი**
 გაზეთის დასაბამად
 და განცხადებათა დასაბეჭდად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა,
 გამოვრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„იზაიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიკული საზოგადოების დასის მიერ

ბ. ვადაშვილის სადებიუტო

წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

ჯადო სიყვარულისა

კამატ. ეტიუდი 4 მოქმ. თხზ. კარპოვისა, გადმოკ. ა. ნათაძის მიერ,

ღ ა თ ვ ი

ვოდ. 1 მოქმედებად, თხზ. ჩეხოვისა, ვად. გრ. ვოლსკისმიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქენი ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა, ნენი: აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანიანი, შათირიშვილი, ვედოშვილი, იმედაშვილი, მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მდგვი წარმოდგენა 21 ოქტომბერს; მზადდება „უცხოეთა კლუბი“ კომ. 3 მოქ. და „ვენეციელი ვაჟარი“ კომ. 5 მოქ.

(3-5.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

დასაწყისით კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხილ გელაშვილისა.

საქა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ნიკოლოზისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დასაწყისით იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ფელეტონი

ზ მ ა ნ ე ბ ა

(ვუძღვნი ლ. ნ. ტოლსტოის).

I

საოჯახო კლუბის უზარმაზარი კარბაზი სადღესასწაულო. ქალები და ლამაზრები იყო მდიდრულად გაჩირაღდებული. შუა-დარბაზში თავით-ბოლომდე გრძლად მიშლილს მაგიდას ასხედ მეტი ქალები და კაცი შემოკმსხდომოდნენ და აღიმობდნენ. რა გინდა, სულო და სულო, რომ იმათ მეფურ სუფრა-სად არა ყოფილიყო, ჩიტის რძეც იპოვებოდა და ყოვლის სიკეთე-სიუკნითა დულდა და გადმოდო-დასუტხოვო საქმელ-სასმელებით ტენილი და აქრელებული სუ-ფრა.

— ბატონებო! ვთხოვთ, ორი სიტყვა მომისმინოთ. ჩვენ ეხლა სუფრის თავი ანუ თამადა უნდა მოვირჩიოთ ისეთი კაცი, რომ არა გავდეს იგი ზოგიერთ ჩვეულებრივ მზადდებს, რომელნიც თავიანთ ყოველ-და-უნებო ქვეყანების უხადრუ-ბით ყველაზედ უწინარეს თავისს ვაძებს, დღე-მოკლე ქია-მლოაგების

ი. პ. ახალაშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

მედიკალი გ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გელაშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ბ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინოვ—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. გელაშვილი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი :

ი. ნ. თუშანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ზ ი თ :

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხილ გელაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

პირველი კერძო სამკურნალო

მედიკალი ნავასარდიანისა

(კუთხაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ო ზ ი თ :

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ა. ი. გელაშვილი. 12—1 საათ. კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ვ. ა. ავაშიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ზ ი თ :

ნ. ნ. როსტომოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებელ სახლში მსურველთ „მას-საეს“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардиана.

Тифлиси, противъ памят. Воронцова.

ახალი ამბავი

* * * დედათა საბებო ინსტიტუტის შენობაში დღეს, 16 ოქტომბერს, ბებების კრება დანიშნული, რომელზედაც „კავასიელ ბებიათა საერთოერთა დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტს განიხილვენ. წესდებით საზოგადოებას აზრად აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრებს როგორც ნივთიერად, ისე გონებრივად განვითარების საქმეში და დააარსოს ტფილისში საგანგებო კურსები ბებობისა, მორიგობა ბებობისა, ბიურო, რომელსაც აზრად ექნება გაჭირვებულს ბებებს საქმე და ცხოვრების საღარიბო მოუწინოს და სხვ.

* * * საერო განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტის განმარტვისა თანახმად, შინ აღზრდილთა და შემდეგ დედათა პროცენზი-ზიაში ეგზამენის დამჭერთ სრული უფლება ეძლევათ პირველ დასაწყის

ტივცემულ მწერალ-პოეტს, ბატონს აღმასხანს: გვითამადას.

— ვთხოვთ! ვთხოვთ! ვთხოვთ ბატონს აღმასხანს! ვთხოვთ!—ერთხმად გრიალებდა მთელი დარბაზი.

იმ პირობით-კი, რომ აღმასხანს შხამ-გესლიანი ენა აქვს და ამ საერთო მხიარულებაში მაინც ნურავის მოგვიხიბლავს. ისიც იკმაროს, რაც აქამდის მოუშხამავს და რასაც მომავალში მოჰშხამავს მაგისი გესლიანი ენა-კალამი.

— მე არ გეთანხმებით მაგისთანა შენიშვნაში, რომელიც სრულიად მოკლებულია კრიტიკულს შორს-გამსჭვრეტელობას. როგორც ხუროთმოძღვარი-გენიოსი სხვა-და-სხვა აუარებელ მასალიდამა ჰქმნის ბუმბერაზ ტაძარს დიდებულს და უკვდავს, ისეც მთელის ქვეყნის ქალნიც და კაცნიც, დიდი და ბატონნიც, გლახანიც და მდიდარიც, ქვეყნიც და უქვეყნიც, მეცნიერნიც და უმეცარნიც, მეტყველნიც და უტყველნიც—ყველა ღვთის-დანაბადნი სულდგმულნი თუ უსულონი პოეტ-მწერალთა მასალა ვართ, და როდესაც-კი ზეგარდმო-მადლით ცხე-ბული მათი მუზა შემოქმედებისა მოისურვებს, მაშინ მოგვიხმარებენ თუნდ ისეთ ქეშმარიტ სიტყვის მა-

სალად, რომ შავი ზღვიდამ კასპის ზღვამდე ჩვენს სასაცილო ცხოვრებასა და მოქმედებაზედ იცინოდეს და ხარხარებდეს მთელი საქართველო და თვით დუნის სხვა-და-სხვა თვის-ტომის ხალხიც. ქვეყნის ავკარგის ნიჭიერად დამსურათებელნი მწერალნი და პოეტნი რომ არა ყოფილიყვნენ ქვეყნისავე გამოსაფხიზებლად, ქვეყანა წინ ვერ წაიწვედა ზღვად და დღესაც სიბნელის წყვედიად ში იქნებოდა სავაგლახოდ ჩამალული და ჩამარხული...

— დიად, მეც მაგავე აზრისა ვარ, რომ ქვეყნის გონებრივ და ქონებრივ პროგრესისათვის აუცილებელია საქირაო ქვეყანა თავისს ზნე-ყოფა-ცხოვრების ფოტოგრაფიულ სურათს სარკედ-ნაქცევს მწერლობაში და ორატორულს ზეპირ თქმაში ჰხედავდეს ცხადად, რომ ქვეყანამ უფრო უტყუარი სინამდვილით გაითვალისწინოს თავისი ავკარგი და მასთან ერთად ისიც, თუ რა ელოდება და რა ეჭირვება ქვეყნის წარმატების წინმსვლელობას. „იციან თავი შენიო“,—მწერლობა ხომ ერის თვით-ცნობიერების საუკეთესო სარკეა, რომელშიაც ყველანი ნაილად ჰხედავენ: რომელი ხალხის სოციალურს და ეკონომიურს მდგომარეობას, პოლიტი-

კურ განყოფილების წეს-წყობილებას და მისი მეტყველების და სულ-გულ-გონების საავკარგო თვისებას, ღირსებას და ზნე-ჩვეულებას. უკან ჩამორჩენილი ხალხი მაშინ დაწინაურდება გონებითაც და ქონებითაც, როდესაც ცხადად შევანებინებენ მას თუ ვინ არის იგი ხალხი, საილამ მოვიდა, საით მიდის და რა მოვლის მიმავალში. მაღალ-ნიჭიერნი მწერალნი და დემოსტენ-ციცერონისებური ორატორნი რომ არა ყოფილიყვნენ ქვეყნის ცხოვრების უანგარიშო ქირ-ვარამის საქვეყნოდ ამოსაყავად და იმათ უკვდავ მქვერმეტყველებას რომ არ გამოეფხიზლებინა ქვეყანა, არც საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, არც ევროპის რომელიმე ეპოქა განახლებისა და არც ცხოვრების ათასგვარი რეფორმები აღმოცენდებოდა ცას-ქვეშეთ მრავალ-ტანჯულ კაცობრიობის საკეთილდღეოდ. დიად, ქვეყნის წინ წაწვისათვის საქირაო სიტყვა გულ-წრფელი და ჰეგელდანიანი, სიტყვა მაღალ-აზროვანი და ძლიერ-მოსილი, სიტყვა ქეშმარიტი ძმობა-თანასწორობის მაძიებელი და მოყვარული, რომელსაც, უქვეყლია, საქმეც მოჰყვება აღრე თუ გვიან. შევადართო ოქროს საუკუნოები ქვისა და ლითონის საუკუნოებს და აშკარად

სასწავლებლების მასწავლებლობისა ისრევე, როგორც პროგრამისაში სწავლა დამთავრებული.

* რკინის გზის სადგურებიდან ბარგისა და მგზავრების წამოსაყვანად მისულს მეეტლეებს სასტიკად აღკრძალული აქვთ მატარებლის მოსვლის დროს სადგურის პლატფორმაზედ ასვლა და აქ ბარგისა და მგზავრების მიღება. მეეტლეები ამ დროს უთუოდ თავის ეტლებთანა და ცხენებთან უნდა იყვნენ და გარეთ უკადონ მგზავრებსა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით სამართალში იქნებიან მიცემული.

* რადგანაც ნაქონობის შემკრის დრო ახლოვდება, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა აგენტმა ბ-ნმა რადლოვმა აცნობა უკვე რკინის გზის სამმართველოს, რომ აზოვის ზღვით პირდაპირ გასაგზავნი საქონელი და ბარგი აგრეთვე როსტოვსა, ტავანოვსა და მარიუპოლზედ გასაგზავნი საქონელი 15 ოქტომბრიდან აღარ მიიღონ ხოლო.

* თანხმად რკინის გზათა დეპარტამენტის მოწერილობისა, ამიერკავკასიის რკინის გზის სადგურებს შორაბანსა და დარკვეთს შუა ახალის ლიანდაგით მივალთა საყურადღებოდ გამოცხადებულია, რომ I და II კლასის მგზავრებს საზოგადო ტარიფის მიხედვით გარდაჰხდებათ ბილეთების ფასი.

* ფინანსთა სამინისტროს განსახილველად წარედგინება მალე ის საგანი, რომ საკომერციო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ ნება მიეცეს მიღებულ იქმნენ ხოლო არა მხოლოდ ყველა უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში, არამედ უნივერსიტეტის ზოგიერთს ფაკულტეტზედაც.

* როგორც რუსეთის რკინის

გზების სამმართველო აცხადებს, ბარგის დამკარგველს მგზავრებს, აგრეთვე იმათ, ვისაც გაგზავნილი ბარგი დანიშნულს ადგილას 48 საათის განმავლობაში ვერ მიუღიათ, დაგვიანებისა თუ სხვა რამ მიზეზით, ნება თურმე ეძლევათ გამგზავნილი ბარგისა და საქონლის ღირებულობა რკინის გზის (წესდების მე-93 მუხლის ძალით) ფულად მიიღონ, თუ რომ კვიტანციას წარადგენენ და ამ კვიტანციას ბარგის გამგზავნილი რკინის გზის სადგური წამდილოდა სცნობს. ამ რიგად მგზავრს შეუძლიან ბარგის ღირებული ფასი ფულად მიიღოს სამის დღის შემდეგ იმ წამიდან, რა დროსაც სადგურს ფულის მიღების სურვილი განუცხადა; მაგრამ ამავე დროს უფლებს აქვს, თუკი ბარგს იპოვნის გზა და მგზავრი ამ ბარგის მიღების სურვილს ფულის მიღების დროს ქალაქში ჩაუწერს რკინის გზას, თავისი ნივთები უკანვე დაიბრუნოს.

* ახალის მოწერილობით პეტერბურგიდან სოფლებში სახალხო კითხვებს თავდაზნაურთა წინაშე მიღობა და ერობის უფროსებმა თურმე უნდა ადევნონ თვალყური.

* ვეტილობის საქმის ცვლილების შესახებ პრეკტი ამ ზამთარს იქმნება განსახილველად სახელმწიფო საბჭოში წარედგინილი.

* ტფილისის სსულიერო სემინარიისათვის ამ რამდენსამე წლის წინად ნასყიდს მიწას ვერაზედ, რომელიც შემდეგ მთავრობამ დაიწუნა, საჯარო ვაჭრობით უპირებენ გასყიდვას. მსყიდველთ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების სურვილის განცხადება შეუძლიანთ დღეს შუადღემდე ტფილისის სემინარიის გამგეობაში.

* ლაპარაკია აღძრული, რომ ერობის ხარჯით დაარსებული საე-

რობო საპატიმროები საპატიმროთა მთავარს სამმართველოს გარდასცენ.

* სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოებისათვის ფინანსთა სამინისტროს მომავალ წლისათვის 4.000.000 მან. გამოუთხოვნი, 900.000 მანეთით მეტი, ვიდრე წარსულს წეოს.

* მთავრობის განკარგულებით ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილება სოფ. მუკუზაანიდან სოფელს ველისციხეში იქმნა გადატანილი და გადაკეთდა ფოსტა-ტელეგრაფის სადგურად, სადაც მიღებულ იქმნებიან აგრეთვე საშინაო დეპეშებიც.

* ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა ორშაბათის ნაცვლად ოთხშაბათს, 18 ოქტომბრის, არის დანიშნული.

* გუშინ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კავკასიის მევენახეთა და მეღვინეთა საზოგადოებას აგრეთვე სტაროსელსკიმ ვრცელი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ კავკასიის მევენახეებმა ამ ბოლოს დროს მეტად გავრცელებულ მილდიუსა, ფილოქტერისა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ რა ღონისძიებანი უნდა იხმარონ. სტაროსელსკი ურჩევს გამოიწვიონ ამერიკული ვაზი და რაც შეიძლება მალე გააშენონ.

* კავკასიის შინა მრეწველთა სხდომები შაბათს, 13 ოქტომბერს, კასარულდა საღამოზედ. ამ საღამოს პირველად განხილულ იქმნა მოხსენება ბ-ნის ო. შმერლინგისა, რომელმაც უჩიო და მსწრეთ გაუმჯობესდეს კავკასიაში შინა მრეწველობის ნაწარმოებთა ძველი ნაშთების მოკრებისა და აგრეთვე მათის ხელოვნურად შესწავლისა და შემდეგ ხალხში ცოდნის გავრცელების საქმე, რისთვისაც საჭირონი არიან

პირველად სპეციალისტები და შემდეგ ისეთი სკოლის დაარსება, სადაც სხვა-და-სხვა გვარს შინა ხელობას ასწავლიდნენ, რომ ამით სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა დამზადება გაუმჯობესდეს და მკვიდრი ბაზარი გაუჩნდეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ გარეთაც. კრებამ მიიღო წინადადება აგრეთვე ქალაქის საქიმო ლაბორატორიის უფროსის ბ-ნის ალიბეგოვისა, რომელმაც განაცხადა, რომ შინა მრეწველობის ნაწარმოებთა უკეთ ღებვისათვის ინსტრუქტორთა ინსტიტუტის შემოღება საჭირო. საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კრებას აგრეთვე ბ-ნმა ს. მ. ზაფაროვმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში საქმე, რომ კავკასიის მცხოვრებთა მდგომარეობა, როგორც შინად მრეწველობისა, აგრეთვე სხვა მხრივ, შესწავლილ-გამოკვლეული იქმნეს. ზაფაროვმა ამისათვის დაასახელა ბიუროს დაწესება, რომელიც ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეს დაწვრილებით შიისწავლის და გამოიკვლევს. კრებამ მიიღო ეს წინადადება, რადგანაც კავკასიის ცხოვრების ყოველ-მხრივ შესასწავლად და შინა მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობის გასათვალისწინებლად ეს უთუოდ საჭიროა და გარდასწყვიტა—სთხოვონ სამეურნეო საზოგადოებას მიიღოს ზაფაროვის მიერ შემუშავებული გეგმა სტატისტიკურად და ეკონომიურად ჩვენის ქვეყნის შესწავლისა.

დასასრულ, სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა პერეგოზნიკოვმა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კავკასიაში საყოველთაო სავალდებულო სწავლება იქმნეს შემოღებული. ს. ზაფაროვმა ამის შესახებ განაცხადა, ბ-ნის პერეგოზნიკოვის აზრს მხოლოდ მაშინ მივემხრობით, თუ ჩვენებურს სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზედ

იქმნება სწავლება და იქმნება ჩვენი წმიდა-წმიდა იქმნება გამოიღვენება. კრებამ მიიღო ბ-ნ პერეგოზნიკოვის წინადადება იმ ხით, როგორც ეს ზაფაროვმა შესწორა.

* 13 ოქტომბერს, დამით, პოლიციამე-ნ ნაწილში, სუშბათოვის ქუჩაზედ ვაჭრების მცხოვრები კაპრელ მიხასის მთვრალი შევიდა ბაკაშვილის სახლში და ცირდავა მარცხენა ბარძაყში დასტრდატილის სამეურნელო შემწეობა აღმოუჩინეს, დამაშავე შეიპყრეს.

* 13 ოქტომბერს, დამით, პოლიციამე-ნ ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზედ ტფილისის მოქალაქემ ლუკა ცხირაძე ჩხუბის დროს სიღნაღის მარხის მცხოვრებნიკოლოზ ბოლაშვილი დასტრა. დამაშავე შეიპყრეს.

პატარა შენიშვნა ზესტაფონი.

(ზესტაფონელთა საყურადღებოდ).

ერთის კვირის წინად ს. ხარაგაულის მცხოვრებთ განაჩენი დაადგინეს ხარაგაულში საქალაქო სასწავლებელი დააარსონ. ჩვენთვის, ზესტაფონელთათვის, ეს, რასაკვირველია, ფრიად საგულისხმო მოვლენაა: ცხადად დამტკიცდა ჩვენს არაბობა, უთანხმოება, უთათუობა. ამის შემტყობის შემდეგ, 5 ოქტომბერს, საღამოს, აქაურის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა ომინ იოსელიანმა „საღარბა ზო ბარათებით“ მიიწვია ზოგიერთ აქაური ვაჭრები სასწავლებელში „მოსალაპარაკებლად,“ ვითომდა ჩვენც დავიარსოთ ახლა სასწავლებელი.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ გამოვაცხადოთ შემდეგი ზესტაფონში საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ მოწერილობა საჭირო ცნობების დამატებით ბ-ნს ისელიანს მოუვიდა ორის წლის წინად სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ-ნის სავიჩისაგან.

დავრწმუნდებით, რომ უტყველთა მეტყველების თანდისთანობით აღორძინებასა და განვითარებას თან მოაჰყოლია ნელ-ნელა ადამიანთა კულტურული ცხოვრებაც, აი, მაგალითად ავიღოთ...

— ეგეჰ! დადებით ერთი, ყმაწვილებო, მამა ნუ წავიწყებდებით, და ნუ გააბამ ხოლომე ვაგლახ ბუზების საქერ აბლაბუდესავით მა უგემურ ფილოსოფოსობას! ვეგო, ლუკმა გასტყებთ, ქეფი გასწივთ, იღბინეთ, იმხიარულეთ, რა გალაპარაკებთ, საქმე არა გაქვთ! ჩვენს დაკუტმონებულსა და დაყრუვ მუნჯებულს ქვეყანას ცარიელი სიტყვით-კი არა, უზარმაზარი ბერკეტებიც რომ დაუგდოთ—წინ ვერ წასწივთ (და არც არავინ წაგაწივინებთ), ცულ-უბრალოდ მოსცდებით, შეილოსა, და კუქიც მშვიერი დაგრჩებათ მაგაობაში. მაგრამ ჯერ ისევ ბოშები ხართ, რა გელაპაკოთ. თქვენც ვაიზდებით, დაჰკაცდებით, დასკოლშვილიანდებით და სუყველა დაგავიწყდებით, გარდა თქვენი ჯიბე-კუქისა. თქვენოდნობაში მეც მაგრე ვსჯილი, მაგრამ გაყავ თუ არა თავი ცხოვრების უღელში, ჩინებისა და პენსიის სურვილ-წყურვილმა აზრები შემიცვალა და ისე ძირიან-ფესვიანად შემიცვალა, უნ-

და მოგახსენოთ გულ-ახლით, (რადგანაც ცოდვა გამჟღავნებული სჯობია), რომ ბუზებიც-კი აქლემებათ მელანდებოდნენ და იმ აქლემებათ მოლანდებული ბუზების შიშსაგანაც-კი ენა მუცელში მივარდებოდა!..

— მაგ შეუფერებელი სიტყვით ცილით სახვე შეურაცხყოფობას ევაყენებთ, თავადო ქაიხოსრო, და გთხოვთ უკანვე წაიღოთ თქვენი წინდაუხედავი სიტყვები!...—გულ-მრისხანედ მიახალეს აქათ-იქიდა.

ფიფეჰ! რას მედიდგულებით, შეილოსა! არც უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს და არც წარბს შევიხრი, მამა ნუ წამიწყებდებო და დედაც ნუ მომიკვდებო. მე ისეთი ქალაქუნა ქუდოსანი არ გახლავართ, რომ მე-შინაღეს ვისიმე მაშინ, როდესაც დიდი ხანია პენსია დავინსახურე და „ასტავკაში“ გამოველ. რა სტვირის გულდასავით იბერებით, ყმაწვილებო, გინდა ხმალში გამოდით, თუნდა მუშტი-კრივში, თუ არა-და, ბოლოს გამოჩნდება, რა შეილებიცა ჰმძინდებით. და თუ ტყუილი მილაპარაკნია, მეც მაშინ მოვიხდი ბოდიშს, როცა თქვენი ბრწყინვალე ქუა-გონების საგმირო საქმეები უბედურ ქვეყანას გააბედნიერებენ და დაკარგულ დიდებას უპოვ-

ნიან. თორე ცარიელი ტრახხული ლაპარაკიდან რომ გამოდიოდეს რამე, ჩემი ოკახის დამღუპავი, ბედლოვლათი შვილი, რომელიც ღმერთსაც-კი სუყველას უწუწებს: ვერაფერი შეუქნა წესრიგთანათო, და თითონ კი ჩხირის გადაბრუნების შროც არა აქვს, ზეცაში ასასვლელათაც თვრამეტ-ნაირ კიბებს აშმართავს ხოლომე ცარიელი პტყელი-პტყელი სიტყვებით და ზღვაზედაც ხიდას ჰდებს. დღეში ასჯერ, მაგრამ, ხომ იცით, რუსთაველს უთქვამ:

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძვეს დიდი ზვარია“. კოსალა სუხეს აკაკუნებს სიკვდილამდინ და იმისი გათლილი ფიცარი-კი არავის უნახამო, ამისი არ იყო, თქვენც ბევრს აკაკუნებთ, მაგრამ თქვენი აშენებული ქვეყანა-კი ვერა ენახეთ, და ეს იმიტომ, რომ ტყბილი, უდარდელი და უშფოთველი ცხოვრება გიყვართ ყბედი-მშიშარა ქალაქუნსავით და თავგანწირული ვაჟკაცობა არ გაბადიათ მამა-პაპისებურით.

— მართალი ხარ, ქაიხოსრო, მართალი! — კვერი დაუკრა ვილაცამ. — მართალი ვარ მარა! სადაც კაცებს, უკაცრაოთ, კაცებს-კი არა, სადაც კაცუნებს თავიანთ კერძო სარფისათვის შიშშიქარა დედაკაცების ლეჩაქები დაუხურამთ, იმ

ქვეყნის საქმე ჩაფლავებულია.

— უმრავლესობის შესახებ მართალს ჰბრძნებთ, პატრიცეზულო თავადო ქაიხოსრო, და ვისურვოთ, რომ იმრავლოს ღვთისა და ქვეყნის მუშაკი-ფუტკრის ყოლივით ისეთმა ქართველთა ახალ-გაზრდობის ყმციარესობამ, რომელმაც რუსეთის სა-მარადეობო დიდებას—ლევ ნიკოლოზის ძეს ტოლსტოის ქვეყნის გულის მწუხარების ეპისტოლე-ლეგია გაუგზავნა ამას წინად.

— ნება თქვენი აღსრულდეს, ბატონო ჩემო, იმრავლოს, თუკი მართლა იმრავლებენ ქვეყნის გულ-შემატკივარი კეთილი ადამიანები, თორემ ათას მგელთან ერთი და ორი ერთგული ძალი რას გააწყობს. აბა! თამადავ! ეი! ბატონო აღმასხან! კარგი შენც ერთი, ახალი-ჯვარწერილი კოპწია ქალწულივით ნულა ინახები და ქიან-ქამ კრენდილივით ნუ იმტრევი! ვეგო, როცა ეს ამოდენა განათლებული საზოგადოება გთხოვთ, შენც პატრივი დასდე ჩვენს თხოვნას და დროით გვითამადე, თორე ხახა გამიშრა უღვინობით, შე ოჯახქორო! ცარიელი ხორავი რა აშმაკად მინდა, თუ თეფშზე დაწყობილი სტაქნებით კახურსაც არ დავაყოლებ ზედიზედ რუსების „რაზ-დვასავით“ და თანაც

ერთი კაი ხმა-ტკბილ, ლოათიფოთურ ჰარიალაღე-თარიალაღესაც არ ჩავაკანებთ ქალების ეშხში მოსაყვანად! — რიხიანად დაიქიხიხიხა ზორბა მხარ-ბეჭიანმა, ყურთმაჯებიან ჩოხაში კოხტად გამოკანკლულმა, ხნიერმა, მაგრამ მეტად მშვენიერი სახის თავადმა ქაიხოსრო ქეფიფემ, რომელმაც სიტყვის თქმის უმაღლე ჯერ ეს ამოიღიღინა: „ქალაია ბაღანა, მთის ვარდი ხარ ლაღანა! მუდამ შენთვის ვტირი მე, ნუ მკლავ, შენი ქირიმე!“ ახლა გულიანად გადაჰკრა ქიქით ღვიროღვინის წყურვილის მოთმინებიდან გამოსულმა, მერე ბოთლით მოიწოფა, რადგანაც ქიქა ებატარავა და ყანყრატოც ვერდაუსვგლა რიგთანად, ბოლოს ამოყრანტალებით ყულში ჩაილაპარაკა თავისათვის: „ეგაჯანი გაგვარდეთ, იყბედეთ, ისოლომონობრძენეთ, გიცნობთ, რაც შეილები ხართ და ამას იქით ვეღარ მომატყუებთ თქვენგან გულ-გატმხილს. დიად, როცა მე თქვენ უწო-რი-და დაგივლოთ, მაშინ დიკვევთ! მე ლამაზად სტომასქ ამოვავსებ ამ გულუხვად გაშლილი ლეთის წყალობითო“, — და ის იყო კიდევ ბაყ-ბაყ-დევით გაუსვა ათასნაირ საქმელებს ახალ-თაობისაგან „გულ-ვატეხილი“ ქაიხოსრომ.

მოწირობა გამოგზავნილ იქნა ამავე სასწავლებლის მასწავლებლის ბ. ვარდენ ჩხაიძის ორ-სამ გზის თხოვნის შემდეგ; ეს მოწირობა ბ-ნს იოსელიანს ქალაქდებში უდევს, როგორც დიდი რამ საიდუმლო, და არა თუ ყრილობა არ შეუყრია, არც კი ვისთვისმე უჩვენებია იგი. როცა-კი შევეყრებოდით ხოლმე, ბ-ნი იოსელიანი სულ იმას ჩაგვიჩინებდა, ნორმალურ სასწავლებელს კაპაბაძის მიწა უყიდეთო (ოთხ-კუთხედი საყენი 4 მანეთად თუ ნაღდი იყიდებოდა) და ამ მოწირობის შესახებ-კი დღემდე კრინტიც არ დაუძრავს. ახლა-კი, ვგონებ, ისურვებ ხარაგაულელებთან გაგვაჯიბროს, რომელი უფრო მეტს გარდასახადს ვიკისრებთ და რომელი უფრო ნაკლებს შემწეობასა ვთხოვთ ხაზინას.

ცხადია, ამას საქმის დაღუპვა ჰქვია და არა გაკეთება; ისიც აშკარაა, მსურვებია თუ არა ბ-ნს იოსელიანს აქ საქალაქო სასწავლებლის დაარსება!

ახლა-კი საჭიროა ჩვენც ამოვიღოთ ხმა: თუ ბ-ნს იოსელიანს რამე „საკუთარი მოსაზრებით“ ნორმალურ სასწავლებელს გარდა აქ სხვა სასწავლებლის დაარსება არ ებიძგება, მაშინ საჭიროა ისეთს კაცებს მივმართოთ შემწეობისათვის, რომელნიც სიტყვიერად და საქმიანად თანაგვიგონებენ. სჩანს, ზოგიერთებისათვის აქ საქალაქო სასწავლებლის დაარსება საზარალა და საჭიროა თავდაპირველად იმათი „ოპეკა“ თავიდებან მოვიშოროთ. ვისაც ესხან ყურნი სმენად, ისმინონ!

—კო—გ—ძე

უცხოეთი

საზრანგეთი. საფრანგეთის პარლამენტი 1 ოქტომბერს უნდა გა-

არ უდგებდნენ ყურს კაცების მსალათს ათასფერად მოპრანქულნი, ვნებათა ლელვის ამშლელნი ურწულელებით თავით-ფხვამდე გაყენებულნი, ქორის-გუდა მანდილოსნები, რომელნიც წაძიძგილაგებული მამლაყინწებივით გაცხარებულიყვნენ და ქვეყანას სჭორავდნენ, ჰქეღავდნენ, ჰკილაგდნენ და დედამისთან ასწორებდნენ შეუბრალებლად.

— აბა, თამადავ! შენი სადღეგრძელო ხომ გიხანელით ყველამ და თამადავაც მოგილოცეთ. სადღეგრძელო ვისია? დაიწყე!

— უმდაბლესად გმადლობთ, ბატონებო, რადგანაც მე, თქვენი უმთარხოესი მონა-მოსამსახურე, უფლად-უნძიქო ქალაქდიხაზია კაცად ჩამავდეთ და სუფრის თავად მომიჩივიეთ, — გულ-წრფელი მადლობა განუცხადა ყველას თამადავს და წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო დარბაისული სიწყნარით:

— დიდად პატივცემულნი ქალბატონებო! ესვამ თქვენს სადღეგრძელოს საერთოდ და წმინდის მშლით და სულით ვისურვებ თქვენს მხარადეპო ჰენდირებას და მრავალ წელს ასე მხიარულად დახვედრას. წრფელის გულით ვნატრობ ვეროვე, ისეთი თითით საჩვენებ-

ხსნილიყო. პალატა კვირასი 4-ჯერ შეიკრებოდა, დილით და საღამოთი. დილაობით ბიუჯეტს განიხილავდნენ და საღამოობით სხვა საგნებს მმართველობა ბიუჯეტის გარდა შემდეგ კანონ-პროექტებს წარადგენს განსახილველად: სავაჭრო ფლოტის, შუაშათა სავენსიო კასის, სოფლის მეურნეობის სათათბირო კამერების და განსხილ საქონელზე პრემიების შესახებ. კონგრეგაციების შესახებ წელს პალატას მსჯელობა არ ექნება, რადგანაც ჯერ მთავრობამ უნდა დაწვრილებითი ცნობები მოკრიფოს იმათ შესახებ.

— საყოველთაო გაფიცვა ქვანახშირის და სხვა მანქანების მალარობში მომუშავე მუშებისა ძალიან იზრდება. მუშათა ფედერაციის მდივანმა, კოტემა ამ გაფიცვის შესახებ შემდეგი წერილი მიიღო ვალდეკ-რუსოსაგან: სამუშაო დასის რაოდენობის განსაზღვრისათვის მთავრობას არაფერი ღონის ხმარება არ შეუძლიან, ეს კაპიტალისტების და მუშების შეთანხმებზე დამოკიდებული. რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დღეს—ამ კითხვის შესახებ მთავრობა ჯერ ვერაფერს იტყვის, ის ელოდება პახუსის საგანგებო კომისიისაგან, რომელმაც უნდა გამოიკვიოს, რა მნიშვნელობა ექნება 8 საათიანი დღის შემოღებას ქვანახშირის მრეწველობისთვის. დასასრულ ვალდეკ-რუსოს ამბობს: „მეშინიან, რომ გაფიცვამ ვნება არ მოუტანოს მუშებს, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ“.

სამხრეთი აზრება. ინგლისელებმა წაიყვანეს ტყვეთ რამდენიმე კვირის წინად ბურების კომანდირი შეპერსი. შეპერსი 23 წლის ყმაწვილი კაცია, რომელსაც დიდი იმედი ჰქონდა კაპის ახალშენის განთავისუფლებისა ინგლისისაგან; „თავისუფალს დროშას ფედერაციისას მე თითონ ავიმართავო“, ამბობდა ხოლმე შეპერსი. შეპერსი ავად გა-

ლი და მარად-სახსენებელი დედები, ცოლები და დები ყოფილიყვნენ, რომ თქვენი აღზრდილნი შეიღწი საქართველოს მასახლებელი გმირნი და სამშობლო ქვეყნის ყოველ საკეთილო საქმის უსაზღვროდ, თავგანწირვით მოყვარულნი ყოფილიყვნენ კუბოს კარამდე. ვისურვებთ ამასაც, რომ თქვენის გულმხურვალე, სამაგალითო სიყვარულის თავდადებულობით აღფრთოვანებულნი ქმარნი თქვენნიც ორს ზღვას შუადიდებულად გადაქიმულ საქართველოს მარსთანაც კი შეერთებას უბირებდნენ თავიანთგან შექმნილი, საკვირველ-მომქმედო ჰაეროსტატით, რე თქვენგანვე გამხვევებულნი თქვენი ძმა-მახლობელნიც ზღვაზედაც ბუმბერაზ-ხილის გასადებ მასალას ამზადებდნენ...

— ერიპაა!...—დაცინვის კილოთი წარმოსთქვა ვილაკამ და გულღვარდლიანად გადინახარა.

— სსს!.. სსს!...—ყორის გველივით დაუსისინეს გესლიანად აქათიქილამ შურით შემოიღოს დამცინავს, და განაგრძო თამადავ:

— თუ თავში არა შადის-რა, თავიდან არა გამოვარაო, გვასწავლის ძველი და ახალი მეცნიერება, და იმ ჩემი საგულისგულო ნატვრის ასაცხადებლადაც, რაღა თქმა უნდა,

მხდარა და ინგლისელების ხელში იმიტომ ჩაივარდნილა. ინგლისელებმა შეპერსს სამხრეთ აფრიკადამ გაძევება გადაუწყვიტეს.

ინგლისი. მმართველობა ირლანდიელთა დებუტატების წინააღმდეგ გაღიშებას აკრებს. წარსულს პარასკევს მიწადმფლობელობის მინისტრმა, გრიუზიმ, თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენის პარლამენტისთვის სამარცხინოდ მიმანია ოპოზიციის ზოგიერთი წევრების დებუტატობა, იმათი სიმპატია—ინგლისის კი არა, ინგლისის მტერია. მალე დადგება ის დრო, როდესაც იძულებული ვიქნებით ლალატს და ვერაგობას თვით პარლამენტში დაუწყეთო დევნა“.

შეერთებული შტატები. ხმელთა შუა არხის შესახებ საბოლოოდ შეთანხმდნენ ინგლისი და ჩრდილოეთი აფრიკა. შეთანხმების მთავარი მუხლები შემდეგია: 1) არხის ნეიტრალიტეტს უზრუნველ ჰყოფს მხოლოდ ამერიკა. 2) შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული უფლება აქვს სიმ-გრეების აშენებისა და 3) ახალი შეთანხმება კლიტონბულგერის შეთანხმების აღვიღოს დაიჭერს.

— ამ ჯამად შეერთებულ შტატებში მოგზაურობს ჰეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მარტენსი. მარტენსი დიდს ყურადღებით აგროვებს სახელმწიფო წყობილების და ეკონომიურის მდგომარეობის მასალას. ამბობენ, ვითომც რუსის მთავრობისაგან მიწდაილი ჰქონდეს მარტენსს მოამზადოს ნიადგი ბურებთან ბრძოლის მოსაპობლად. რუსეთი, ამტიკებენ დიპლომატიურს წრეებში, იმ აზრისა, რომ ორანჯეს რესპუბლიკას და ტრანსვალს სრული უფლება აქვს მშვილობიანობის დასამყარებლად მიჰმართოს მუდმივს სამედიატორო სასამართლოს პაავაში. პრეზიდენტი ემილ ლუბეც ამ აზრს

საჭიროა: თანამედროვე ჰედაგოგაურ სწავლით, უმაღლესი მეცნიერებით აღიჭურვით თვითგანვითარების ღვაწლები წყალობით, და ისე ჩივებულად განახორციელოთ ყოველივე მათი მცნებანი ცხოვრებაში, რომ თქვენს შვილებს ვეღარავინ წააყვედროს: როგორც გყვანდა დედაო, შენც ისეთი ხარ ქედაო, არამედ ქებით ამბობდნენ მათზე: ხემა დაისხა ხილიო, რაც დედაა, ის შვილიო. დიდად, დედებზეა დამოკიდებული ჩვენის ქვეყნის ბედი და უბედობა, და ამიტომაც მე ამას ვნატრობ ძილშიაც კი: ისეთი სანაქებო მამულის შვილნი, ქალნი და ვაჟნი აღგეზარდოთ, რომ მშობელ ქვეყნის გულ-შემატკივარ ადამიანთა უნუგეშობას და გულ-გატეხილობას დიდად სანუგეშო იმედს აძლევდეს მომავალ თაობის საკეთილო ნიშანწყალი. თქვენმა ქმრებმა და ძმა-მახლობელთაც რომ ჩვენი ქვეყანა მარსაც კი შეუერთონ ჰაეროსტატით და ზღვაზედაც კი ხიდი გასდგან თქვენის წყალობით, საქიროა ამისათვისაც ნათელი მადლოსილი მეცნიერებისა და საკეთილდღეო ქეშმარიტებისა, რომ თქვენმა ყოველ-მხრივ ნათელდებულმა და მირონ-ცხებულმა ქვეყნის ძლიერეამ მთლად შეგაზიზოთ ქვეყნის სუ-

ემბრობა და თუ რუხველტმაც მხარი მისცა, საბატოო გზა გაიხსნება სამხრეთ-აფრიკის ბრძოლის მოსასპობლად.

ოსმალეთი. საფრანგეთ-ოსმალის კონფლიქტის მოსაწყობის მიზნად მრავალი გეგმა ითხზება ხონთქარის სასახლეში, მაგრამ ამ გეგმებს თითქოს რაღაც გულგრილობით ეკიდებიან. ამბობენ, ხონთქარი ერთის ევროპის სახელმწიფოს გავლენით ჰმ-ქმედობს ამ გვარად.

უზრანლ-გაჯითებიღვან

(ამოკრეფილი ამბები)

უკანასკნელის ცნობებით გერმანიის იმპერიაში იბეჭდება სულ 3,452 გაზეთი. აქედან

457 გაზეთი	კვირასი	1 იბეჭდება
618	"	2
979	"	3
106	"	4
12	"	5
100	"	6
87	"	7
1	"	11
73	"	2
11	"	13
6	"	18
1	"	19
1	"	20

ამთვან 2182 პატარა გაზეთია, 1187 შუათანა და 93 დიდი.

სათის წარმოება არსად ისე არ არის განვითარებული, როგორც შვეიცარიაში. წელიწადში შვეიცარიიდან საზღვარ გარეთ გაქვთ 86 მილიონ მანეთის სათი. მუშაობს იქ საათის საქმეზედ სულ 101,419 კაცი; აქედან 50,143 მამაკაცია, 51,276 დედაკაცია.

მიცვლებულთა გვამებს ინგლისშიაც სწვამენ. კრემატორიუმ ლონდონის მახლობლად, უოკინგში არსებობს 1885 წლიდან ამ კრემატორიუმს განსაკუთრებული საზოგადოება ინახავს საზოგადოების წევრი წელიწადში 10 მ. იხდის, ვინც ერთ ხანად 100 მანეთს შეიტანს, სამუდამო წევრად ითვლება. დღემდე ამ კრემატორიუმში დაუწვევთ სულ 1,300 გვამი. თვით გვამის დაწვას უნდებიან სულ ორ საათს.

ნაციო მიცვლებულის კირიტი...

ურსინოს მახლობლად ამას წინად შეიპყრეს იტალიაში დიდად განთქმული ყაჩაღი მუზოლინო, რომელმაც მთელი ორი წელიწადი სამხრეთ იტალიას შიშის ხარი დასცა. ამ მუზოლინომ წუთი-სოფელ გამოასალმა ყველა ის მოსამართლენი და მოწმენი, რომელთაც უკანასკნელი იმისი საქმე განიხილეს მუზოლინო ტრისტში მიდიდა, იქიდან საფრანგეთსა და ამერიკაში პაირობა გადასცა. გზაზედ ჩაუსაფრდნენ და შეიპყრეს. ამ ყაჩაღის თავი 25,000 ლირად იყო დაფასებული. მთელი ორი წელიწადი მთავრობამ ვერას გზით ვერ დაიჭირა ყაჩაღი და ეხლა შეუთხვევით ჩაუვარდა ხელში.

7 ოქტომბერს სანტოს-დიუმონმა ხელახლა სცადა თავის ჰაეროსტატით ეფელის კოშკის შემოვლა. მოუხდა ამ საქმეს სულ 30 წუთი და 30 წამი. ლეისის პრემიას (100 ათასი ფრანკი) სანტოს-დიუმონი ვერც ეხლა მიიღებს, რადგანაც დანიშნულ ვადას 30 წამი გადააცილა.

წერილი ჩადაციის მიხარო.

პატივცემულო რედაქტორო!
10 ოქტომბრის „ივერია“-ში (№ 219) დაბეჭდილია პაწია ლექსი, რომელსაც სათურად აწერია: „ხალხური ლექსი (გურიაში ჩაწერილი 5. ა. თავდგირიძის თქმით)“—საჭიროთ მიმანია ვაცნობო „ივერიის“ მკითხველთ, რომ ეს ლექსი შეცდომით არის „ხალხურ ლექსათ“ ჩაწერილი. არ ვიცი, რა წყაროდან ჩაუვარდა ხელში ეს ლექსი მის „ჩამწერელს“, მაგრამ ეს კი ნამდვილათ ვიცი, რომ აქ ხალხური მხოლოდ პირველი ხანაა, ე. ი. „გოგო, გოგო, შეთვალაო, ბიჭმა შამოგითვალაო: ან მამეც ჩემი დანაო, ან წამომყვე თანაო;“ დანარჩენი სამი ხანა კი ამოღებულია ჩემი ერთი პოემიდან, რომელიც ჯერ არსად დაბეჭდილა. დაწვები თქვენი პატივისცემული სილოვანი ქუთაისი. 1901 წ., 13 ოქტომბერს.

ამ წერილზე ბ. ს. ხუნდაძეს შემდეგი მოახსენა მისგან „სადავო“ ლექსის დამწერმა:

„ეს ლექსი ჩამაწერინა, როგორც მოხსენებულიც მქონდა, თ-ღმა ნ. ა.“

ხო ხარჯების მრსპობა—და საქართველოს ქონებრივად აყვავება და გონებრივად წარმატება ერთი იქნება...

— ვაშა! ბრავო! ბრავისიმო!.. — გაჭხხებული ტამის ცემით უყვიროდნენ თამადას კაცები. ქალ-მანდილოსნების გულ-გარისხებული უმრავლესობა კი გუნებაში გესლიანად ჩაცინებით ამას ფიქრობდა: „რა მოეწონათ ამ უტვინოებს მაგ კრუპენტელა სულელის ტარტარში! მაშ გაუქრობელ ცეცხლსა და გენიას არ დავანთებ თავზე ჩემს ქმარს, გულის თქმა და წადილი რომ არ ამისრულოს სიხარულით, თუნდაც, იმ ჩემმა გულის სურვილის ასრულებამ პირქვე-დასამარხავი სამარეც გაუთხაროს. დიხ, დიხ, მაშ, მაშ! მინამ თქვენ იკვენსეთ, ვ-ღრე ქალეებმა ათასნაირ მოდის თვალ-წარმტაც ტანსაცმელებზე და სალხინო წვეულებებზე ხელი ავიღოთ, თუნდაც რომ მთელი საქართველოს კაცები მგლებმა დაგქამოთ და ერთიც აღარ გადარჩე! სათესლეთო“.

დ. მაჩხაელი.
(დასასრული იქნება).

თავდგირიძემ, ფოთის ქალაქის თავად ნამყოფმა. განსვენებული დიდი მოტრფილად იყო საერო პოეზიისა და მას არ შეეშლებოდა ხალხური ლექსი ბატ. ს. ხუნდაძის ლექსებში, მით უფრო, რომ ის კარგათ იცნობდა ბ. ს. ხუნდაძეს და მისი ლექსების ხასიათსა და ღირსებასაც...

„ეს ერთი. ნამდვილად მახსენდება აგრეთვე, რომ ნ. თავდგირიძემ ჩაწერის დროს მიიხრა, რომ ეს ლექსი მან ზებირათ იცოდა, როცა ის ჯერ კიდევ შვიდი თუ რვა წლისა იყო, ესე იგი მაშინ, როცა ს. ხუნდაძის ჯერ არსად დაბეჭდილი პოემა“ ჯერ არსად დაწერილი იქნებოდა.

„ეს მეორე. აგრეთვე ნ. თავდგირიძემ მითხრა, რომ ქუთაისში ერთხელ პატარა ბიჭი მღეროდა ამ ლექსს. ვკითხვე: ვინ გასწავლა, ბიჭო, საიდან იცი შენ ეს ლექსი? — ეს მამამ დაწერაო.

წადი და მამაშენს უთხარი: ნ. თავდგირიძემ შემოგთვალა, ღმერთი შენ შეგარცხვენს, შენი დაწერილი ეს ლექსი არ იყოსთქო!..

„ეს მესამე. გარდა ამისა, ს. ხუნდაძის წერილის მიღების დროს რედაქციაში იყო, შემთხვევით, ბ. ნ. არაგვის-პირელი, რომელმაც გვითხრა, რომ მას არა თუ ამ ლექსის პირველი ხანა, არამედ მეორეც გაუგონია ხალხში არაგვის ხეობაში. ამ წამს რედაქციაში, სადაც ამ წერილს ვწერ, არ იმყოფება, სამწუხაროთ, ის პირი, რომელსაც ესევე ლექსი გაუგონია ახალციხის მხარეშიაც.

ესეც მეოთხე და ინებებს ბ. ნ. ს. ხუნდაძე მესუთუც მოგახსენოთ? ბ. ბ. შვილი

დებემა

(„რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან“)

13 ოქტომბერი

პარიზი. მთავრობის წრეები უარსა ჰყოფენ გერმანელების მიერ გაგრძელებულ ხმებს, ვითომც რუსეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის საქმეების გამო უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს.

ლონდონი. „Daily Mail“-ს ამბავი მოხვლია თერანადგან, რომ იქ შეთქმულ იბა აღმოაჩინეს შაჰის წინააღმდეგაო. შაჰის ძმებს მონაწილეობა არ მიუღიათ ამ შეთქმულებაში. დიდი ვეზირი ესლა უფრო სასტიკად იქცევა, ვიდრე როდისმე აქამდის.

ოღმბა. დაიწვა უსახელო საზოგადოების პრობკის დიდი ქარხანა. ქარხანა დაზღვეული იყო 480,000 მ. ზარალი ნახევარ მილიონს აღემატება.

ნიჰიი-ნოვგოროდ. რუმბასთან ვოლგაში დასძირა ზარუბინის გემი „დიმიტრი“, რომელიც საქონლით იყო დატვირთული. კაცი არავინ დაღუპულა, მხოლოდ საქონელი დასველდა.

მოსკოვი. საიდუმლო პოლიციამ შეიპყრო პროვოზორ შტრაუფის შვილი, უმთავრესი მონაწილე

იმათი, რომელთაც მოტყუილებით მიიღეს სახელმწიფო ბანკდგან 3900 მანეთი რედკინის მაგიერ. — დღეს მოხელეების თანდასწრებით, მიტროპოლიტმა ვლადიმირმა აკურთხა განუკურნებულ ავადმყოფათვის თავშესაფარი, რომელიც ლიამინის ქალმა ააგო მიტროპოლიტ სერგეის სახელობაზე.

ხარკოვი. გუშინ საღამოს აქ მოვიდა მამა იოანე კრონშტადტელი; იგი ეწვია ზოგიერთ ავადმყოფს, სწირა აღდგომის ეკკლესიაში და დღეს საღამოს ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრა.

კონსტანტინეპოლი. როგორც ამბობენ, დიდი ვეზირი ავად გახდა ურემიით. — გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწის, გარდაცვალებულ არტინ-ფაშა დადიანის ადგილას დანიშნულ იქნა ესლანდელი პარიუში მყოფი ელიო მუნირბეი.

ბელგრადი. სკუპინის უმეტესობა თავის ადრესში მადლობას უცხადებს მეფეს კონსტიტუციის შეცვლისათვის.

ლონდონი. გუშინ ჩემბერლენმა სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში. მან სასტიკად გაჰკიცხა ირლანდიელები და სთქვა, რომ მთავრობა მომავალ საზოგადო არჩევნებამდის შეიტანს დეპუტატთა პალიტაში წინადადებას ირლანდიელთა წარმომადგენლობის შემცირების შესახებაო. ორმტორმა უარი განაცხადა, რომ მთავრობა მოეშადა სამხრეთ-აფრიკის ომის გამოსაცხადებლად უფრო ადრე, ვიდრე იგი დაიწყებოდა. მას შემდეგ, რაც ბურებმა უარი განაცხადეს მათთვის სასარგებლო ზავის პირობებზე, ომი ბოლომდის უნდა გაგრძელდეს. ესლა საქირაა მომეტებული სისასტიკე მეთამოხეთა და პარტიზანების საწინააღმდეგადაო. ბოლოს მინისტრმა დაბეჯითებით სთქვა, რომ ყოველივე შიში უსაფუძვლოა სამხრეთ-აფრიკის საქმეების გამო.

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. ოფიციალურად, ავღანისტანის ემირის გარდაცვალებისათანავე საზღვარ-გარეთის გაზეთებში ცნობები იყო მოყვანილი, ვითომც რუსეთის სამხედრო სამინისტრო რაღაც მზადებაშია იმის გამო, თუ ვინცობაა რამე არეულობა მოხდა შუა აზიასთან მდებარე ადგილებში, რომელიც ავღანისტანის საზღვარზეა. ყოველივე ეს ცნობები საფუძველს მოკლებულია.

ბრესტი. როდესაც ჯავშნიანი გემი „ლეონ გამბეტა“ წყალში ჩაუშვეს, მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ეს გემი მოგვარანებს იმ კაცს, რომელსაც სამშობლოს ძალის იმედი აქვს და სასოწარკვეთილებას არაოდეს არ ეძლევაო. ეს გემი, ანაგრო მინისტრმა, — იმ გემთა რიცხს ეკუთვნის, რომელთაც საფრანგეთი ზღვაზედაც ისევე უზრუნველ-ყოფილი უნდა ჰყონ, როგორც ხმელეთზეა. გემთა სიმრავლეს კი არა, მათს ღირსებასა აქვს მნიშვნელობაო.

ბელგრადი. დამოუკიდებელ რადიკალთა მიერ შედგენილ ადრესის

პროექტში მოხსენებულია, რომ საქირაა ახალის კონსტიტუციის გადასინჯვაო. აგრეთვე კმაყოფილება გამოთქმული იმისთვის, რომ ტახტის მემკვიდრეების შესახებ ხმები უსაფუძვლო გამოდგა.

ლონდონი. „სტანდარდ“-ის პარიეტლ კორესპონდენტს გაუგია, რომ რამდენადაც კი საქმე საფრანგეთის მთავრობას ეხება, მისგან არავითარი პოლიტიკური ზომები არ არის მიღებული საიმისოდ, რომ კრიტიკა-ბერძნეთს შეუერთდეს, ან კიდევ იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა ერთმანეთის თანხმობით ძალა დაატანონ ოსმალეთს და ბერლინის კონგრესის დადგენილება შეასრულებინონო.

15 ოქტომბერი

პეტერბურგი. 13 ოქტომბერს საღამოთი საინტერესო კრება მოხდა ყრუ-მუნჯებისა. ინიციატივა ამ კრებისა ეკუთვნის ხელმწიფე იმპერატრიცის მარია თეოდორეს ასულის სამზრუნველოს თავმჯდომარეს, საპატიო ობეკუნს მერდერს, რომელმაც ყრუ-მუნჯთა სასარგებლოდ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა დაარსების გარდა საქიროდ სცნო მთაწარის ურთიერთობის გაძლიერება და ამ რიგად ზნეობრივი ცხოვრების გაღვივება მათ შორის. 13 სექტემბრის კრების საგანი ყრუ-მუნჯთა მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

იოკოგამა. საფინანსო უწყებამ გამოაცხადა 16 1/2 მილიონის ობლიგაციების გამოცემა. ხმა დაეარდა, რომ ეს სესხი მთლად იაპონიის ბანკს შეუსყიდია. მმართველობა ამ ფულს სხვა ობლიგაციების გამოსყიდვას და ჩინეთის ექსპედიციის ხარჯების დაფარვას მოახმარებს.

ბოგოვი. მოვიდა ცნობები, შახის წინააღმდეგ მართლა შეთქმულება ყოფილა. შეთქმულების წევრებს იმედი ჰქონიათ, ხალხი მხარს დაგვიჭერს, რადგანაც უკმაყოფილო ამით, რომ შახი მესხეთში და ევროპაში სამოგზაუროდ აპირებდა წასესხი ფულის მოხმარებას.

რომი. „Tribuna“-ს სიტყვით, ინგლისმა ოფიციალურად მიჰმართა იტალიის მეფეს თხოვნით იმის შესახებ, რომ მეფემ მიიღოს შრომა და, როგორც სამედიტატორო მოსამართლემ, გადასწყვიტოს დავა საზღვრების გამო ბრაზილიასა და ბრიტანიის გვიანას შორის.

სოფი. დღეს 3 საათზედ ფინანსთა მინისტრი პეტერბურგში წავიდა.

რიზა. პეტერბურგის პალიტის სესხიამ გუშინ დაიწყო საგლეხო საქმეთა კომისსარად და ეზელის მაზრის უფროსად ნამყოფის იოსებ კასაკის საქმის გარჩევა. კასაკის პირადღება საზოგადო ფულის გაფლანგვა და ყალბი ქაღალდების შედგენა. მოწვეულია 100 მოწამე და 5 ექსპერტი.

კიევი. კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტად ნამყოფმა უცნობმა პირმა გადასცა აკადემიის საბჭოს 5,800 მზ. სტიპენდიების დასაარსებლად.

ბაშკინი. შვიდის დღით სტუმრობის შემდეგ სამხედრო მინისტრი ფერგანაში წავიდა. ხალხმა აღტაცებით გააცილა.

ცარიცინი. ნება დაერთო ცარიცინში მეორე გაზეთის გამოცემისა; რედაქტორ-გამომცემელი ელისაბედ მენშინცევა.

როსტოვი. გუშინ სათამაშო დიდი მათავარმა მიხეილ ნიკოლოვიძის ძემ გაიარა.

კალუზა. ვოლოსოვ - დუდინში, კოსელსკის მაზრაში დაარსდა პირველად მთელს გუბერნიაში სასოფრედაქტორ-გამომცემელი ელისაბედ მენშინცევა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს

ძალღებზედ შემოღებულ გადასახადის მოკრეფის წესებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ.

1) გადასახადი წესდება ტფილისში ყველა ძალღებზე, ჯიშის განურჩევლად, გარდა: ა) იმ ძალღებისა, რომელნიც ეკუთვნიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთა და საელჩოების და მისიების სხვა წევრთ, აგრეთვე უმთავრეს კონსულებს, კონსულებს, ვიცე-კონსულებს და საელჩო აგენტებს, თუ ესენი იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან, რომელმაც დანიშნა, თუ ამ სახელმწიფოსთან რუსეთის საელიო კონვენცია აქვს დადებული და თუ ის სახელმწიფოც არ ახდენენ რუსეთის წარმომადგენელთა და კონსულებს ძალღებზე გადასახადს; ბ) იმ ძალღებისა, რომელნიც პატრონთ ეზოებში ჰყავთ ჯაჭვზე დაბმული; გ) იმ ძალღებისა, რომელნიც ეკუთვნიან ტფილისში დროებით ჩამოსულთ, თუ ესენი ერთ თვეზე მეტს არ დაჰყოფენ ქალაქში; და დ) იმ ძალღებისა, რომელნიც ეკუთვნიან სამხედრო სანადირო რაზმებს, აგრეთვე რომელნიც სამხედრო პირთ და დაწესებულებათ ჰყავთ ნადირობისათვის, იმ პირობით კი, რომ ეს ძალღები ჩამოთვლილ იქნებიან სათანადო ჯარას განყოფილებების ბრძანებაში.

2) გადასახადი იქნება 1 მანეთი თითო ძალღზე წელიწადში.

3) ძალღის პატრონი გარდასახადს იხდის ყოველ წლის დასაწყისში; მარტის თვის შემდეგ კი გადახდელზე ჯარიმა არსდება.

4) ყოველს გადახდელს ქალაქის გამგეობიდან ეძლევა ნიშანი, რომელზედაც აღნიშნული იქნება შემოტანილ გადასახადის კვიტანციის ნომერი. განსაკუთრებული ნიშნები მიეცემა აგრეთვე იმ ძალღებისთვის, რომელნიც ეკუთვნიან 1-ლ მუხლის ა) და ბ) პუნქტებში აღნიშნულ პირთ და სამხედრო დაწესებულებათ; მათ გადახდებთ მხოლოდ ნიშნების ღირებულობა. ნიშნები ძალღს საყვლოზე უნდა ჩამოჰკიდონ გაჩუქებისა ან გასყიდვის დროს თან უნდა გააყოლონ.

5) თუ ნიშანი დაიკარგა, ქალაქის გამგეობიდან გაიცემა ახალი ნიშანი, რომლის ფასიც პატრონმა უნდა გადაიხადოს.

6) თუ ვინმემ წლის განმავლობაში შეიძინა ძალღი, 14 დღის ვადაზე უნდა გამოუცხადოს ეს გამგეობას და სრულად ან ნახევრად უნდა გადაიხადოს ხვედრი გადასახადი იმის მიხედვით, თუ წლის რომელ ნახევარში შეიძინა ძალღი.

7) ვინც გადასახადს დროზე არ შეიტანს, მას გარდა იმისა, რომ გარდასახადი გარდასდება, ჯარიმაც მიესაჯება; ჯარიმის რაოდენობა უდრის დაარჩენილ გადასახადის 10%-ს.

8) გადასახადის შემოტანის ვადა და ადგილი, სადაც ის უნდა შეიტანონ პატრონებმა, ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ უნდა გამოაცხადოს გადასახადის შემოტანის ვადის ერთის თვით წინ.

9) ქუჩებსა და მოედნებზე მაწანწალო ძალღებს, თუ მათ ნიშნები არ ექნება, ქალაქის განსაკუთრებული მოიჯარადრე დაიჭერს. დაჭერილ ძალღის პატრონმა 5 დღის განმავლობაში უნდა შეიტანოს ხვედრი გადასახადი, ან უნდა დაამტკიცოს, რომ მან უკვე გადაიხადა გადასახადი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერილი ძალღები დახოცილ იქნებიან. ამასთანავე დახოცილ ძალღების პატრონთ გადახდებთ როგორც დაწესებული გადასახადი, ისე ჯარიმა ძალღის შენახვისათვის, დღეში 15 კაპ.

10) იმ ძალღების რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად, რომელთაც გადასახადი დაედებათ, ქალაქის გამგეობა, თავის აგენტების შემწეობით, ადგენს ყოველ წელს არა უგვიანეს 1-ლ იანვრისა განსაკუთრებულ სიებს, ხოლო არა უგვიანეს 1-ლ თებერვლისა უგზავნის ძალღების პატრონთ გადასახადის ფურცლებს.

აწესებს-რა ამ გადასახადს, ქალაქის გამგეობა აცნობებს ძალღების პატრონთ, რომ 1901 წლის გადასახადი მათ უთუოდ 10 ნოემბრამდე უნდა გადაიხადონ; იმ დღიდან-კი ჯარიმა გადახდებთ, თანახმად წესების მე-9 პარაგრაფისა. გადასახადი წარდგენილ უნდა იქნას სავაჭრო პოლიციის კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან: 1-ლ და მე-2 საპოლიციო ნაწილებისთვის—ვერის მოედანზე, მე-3 და მე-4 ნაწილებისთვის—სალდათის ბაზარზე, მე-5 და მე-6 ნაწილებისთვის—თათრის მოედანზე, მე-7 ნაწილისთვის—კახეთის მოედანზე, მე-8 ნაწილისთვის—დესიმონოვის მოედანზე, მე-9 და მე-10 ნაწილისთვის—აჭალოს მოედანზე, წყლის მილის ბუღკაში, ნაძალადევისათვის კი ადგილობრივ აგენტის ბუღკაში, წყლის მილის ქუჩაზე, რუქის სახლში; ძალღების პატრონთ, რომელნიც გადასახადს შეიტანენ, აგენტები კვიტანციებს მისცემენ და ამ წლისთვის დაწესებულს ნიშნებს. ამასთანავე გამგეობა სთხოვს გადასახადის შემოტანით თვალ-ყური ადევნონ, რომ კვიტანციაზე უთუოდ აღნიშნული იყოს ნიშნის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციას ძალა აღარ ექნება.